მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2025 წლის 29 დეკემბერი

დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანულის კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საშტატო ნუსხა.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №24 დადგენილება (www.matsne.gov.ge,) 28/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.103.016450)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**

დანართი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საშტატო ნუსხა

	შტატის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო**	რაოდენობა
	პოლიტიკური თანამდებობის პირები		
	საკრებულოს თავმჯდომარე	6630	1
	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	5304	1
	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	4284	2
	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	3688	5
	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3354	2
	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2560	9

	ჯამი:		20
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები			
	საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	3680	1
	ჯამი:		1
	მეორე რანგი(საშუალო მმართველობითი დონე)		
	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საოქმო განყოფილების უფროსი	3200	1
	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	3200	1
	საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – პრესცენტრის განყოფილების უფროსი	3200	1
	ჯამი:		3
	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე		
	საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2400	3
	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2400	1
	პრესცენტრის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2400	1
	ჯამი:		5
	სულ საშტატო:		30
საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები			
	თანაშემწე		1
	სპეციალისტი		1
	მძღოლი		1
	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი		1
	ჯამი:		4